სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ევრაზიისა და კავკასიის კვლევები** Euraisan and Caucasus Studies
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**ევრაზიისა და კავკასიის კვლევების მაგისტრი** Master of Eurasian and Caucasian Studies
პროგრამის მოცულობა **კრედიტებით და მათი განაწილება**	**120[1] ECTS**: • **სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 ECTS;** • **სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS;** • **არჩევითი სასწავლო კურსები - 40 ECTS;** • **თავისუფალი კრედიტი - 10 ECTS.**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი **კოორდინატორი**	**თორნიკე თურმანიძე,** საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, პროფესორი **ფიქრია ასანიშვილი**, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პროგრამაზე მიღებისათვის მოითხოვება:** ➢ ბაკალავრის ხარისხი ან 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი ნებისმიერ სფეროში; სასურველია გარკვეული ცოდნა შემდეგ სოციალურ მეცნიერებებში: საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური მეცნიერებები, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო სამართალი, პოლიტიკური გეოგრაფია, საერთაშორისო ეკონომიკა, სამართალი, უცხო ენები; ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; ➢ სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის; ➢ ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B2 დონეზე (შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, სხვა მათი

[1] ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანია და მისი ხანგრძლივობა 2 კალენდარული წელიწადია (ოთხი სემესტრი). პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტიდან 40 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსებია, 40 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები (პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი საგნების საფუძველზე სტუდენტს ევალება მინიმუმ 40 კრედიტის დაგროვება), 10 თავისუფალი კრედიტი (თუ სტუდენტი დაინტერესებულია ისეთი საგნით, რომელიც ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში არ არის მოცემული არჩევითი საგნების ჩამონათვალში, სტუდენტს შეუძლია 10 კრედიტი თსუ-ს ფარგლებში შეთავაზებული სხვა სამაგისტრო პროგრამიდან ან საზღვარფგარეთ გავლილი სასწავლო კურსებიდან შეავსოს, რის საშუალებასაც სწორედ ეს 10 თავისუფალი კრედიტი იძლევა). დანარჩენი 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვისთვისაა განკუთვნილი.

	ეკვივალენტური ტესტები), ან გამოცდის ჩაბარება - თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სამაგისტრო მისაღები გამოცდა); ➢ წერითი გამოცდა სპეციალობაში; ➢ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; ➢ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. **მისაღები გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:** ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა; ➢ ინგლისური ენის გამოცდა - B2 დონე (50 %) - მინიმალური 51 ქულა ➢ წერითი გამოცდა (50 - %) - მინიმალური 51 ქულა
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის მიზანია :** • მოამზადოს საგანმანათლებლო სივრცისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები-მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ აღმასრულებელ, ანალიტიკურ და წარმომადგენლობით პოზიციებზე ნაყოფიერ საქმიანობას; • განუვითაროს სტუდენტებს ჰოლისტიკური და ინტერდისციპლინარული აზროვნება, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისტემის წინაშე არსებული კომპლექსური და მრავალმხრივი პრობლემების ანალიზის, პრევენციის, მათზე

	რეაგირებისა თუ მათთან დაკავშირებული რისკების მართვისათვის; • აღჭურვოს სტუდენტი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის შესახებ, მისი ეკონომიკური, პოლტიკური, სოციალური განვითარების თავისებურებებსა და გამოწვევებზე; • მისცეს კომპლექსური ცოდნა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, რეგიონალური პროცესების შესახებ ევრაზიისა და კავკასიის რეგიონში და ამავდროულად მიიღოს ცონდნა გარე ფაქტორებისა და საერთაშორისო პროცესების გავლენაზე რეგიონის მიმართ; • მოახდინოს რეგიონის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში არსებული ძირეული პრობლემების გააზრება და განზოგადება. ასევე ამ პრობლემებისადმი თეორიული ცოდნის მისადაგება. • დაეუფლოს კვლევითი საფუძვლების ისეთ ცოდნას, რომელიც მას შესაბამის სფეროში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხის დასმის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს; • შეიძინოს სამაგისტრო სწავლების დონისათვის გათვალისწინებული კვლევითი და ანალიტიკური უნარ–ჩვევები, რომელთა გამოყენებითაც შეძლებს, მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.
სწავლის შედეგები *ა) ცოდნა და გაცნობიერება;* *ბ) უნარი;*	***სამაგისტრო პროგრამა*** *უზრუნველყოფს სტუდენტებს ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის შესახებ უახლეს კვლევებზე დამყარებული ცოდნით, აგრეთვე ემპირიული ინსტრუმენტებით ამ სფეროს აქტუალური თემატიკის საკვლევად.* *სტუდენტებს შეუძლიათ დარგის თეორიული მასალის ღრმად და შემოქმედებითად გააზრება, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, კომპლექსური და წინააღმდეგობრივი იდეების კრიტიკული ანალიზი და შეფასება, საკუთარი დასაბუთებული პოზიციის ჩამოყალიბება და პრობლემის გადაჭრისთვის ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.* **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:** 1. სიღრმისეულად აღწერს და განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობებს, ეკონომიკისა და უსაფრთხოების

გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	თეორიებს, საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიკას, მდგრადი განვითარებისა და განვითარების ეკონომიკას, უსაფრთხოებისა და ევროპულ სამეზობლო პოლიტიკას, ყველა იმ ფაქტორს, რომელიც ზემოქმედებს როგორც ევრაზიისა და კავკასიის რეგიონულ პროცესებზე, ასევე საერთაშორისო სისტემაზე, გლობალურ პროცესებსა და ინსტიტუტებზე; **2.** კრიტიკულად აანალიზებს ევრაზიისა და კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებს; **3.** რეგიონში მიმდინრე პროცესების შესასწავლად დამოუკიდებლად გეგმავს ემპირიულ კვლევას თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით; **4.** დაინტერესებულ პირთან აწარმოებს ეფექტურ კომუნიკაციას, მონაწილეობას იღებს გუნდურ მუშაობაში, იგებს დარგის შესაბამის ინგლისურენოვან ტექსტს და კრიტიკულად აანალიზებს მას; **5.** აიდენტიფიცირებს, გამოაცალკავებს და ერთმანეთთან ადარებს ევრაზიისა და კავკასიის რეგიონში წარმოქმნილ თუ უკვე არსებულ ძირითად პრობლემებს; **6.** დამოუკიდებლად მუშაობს სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე და ახდენს ცოდნის რეგულარულად განახლებას დარგობრივი ლიტერატურის ანალიზით; **7.** დამოუკიდებლად ირჩევს რეგიონში მიმდინარე აქტუალურ საკვლევ საკითხებს; განსაზღვრავს შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიასა და თეორიულ ჩარჩოს; აგებს კვლევის დიზაინს, ატარებს საველე სამუშაოებს და გამოკვეთს მისი კვლევის ღირებულებას დარგის განვითარების თვალსაზრისით; 8. დამოუკიდებლად ამზადებს და ეფექტურად აკეთებს/წარდგენს ზეპირ თუ წერით პრეზენტაციას, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომს, აკადემიური წერისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით, უახლესი ცოდნისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით დაინტერესებული აუდიტორიის წინაშე; 9. დარგის განვითარებისა და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის მიზნით, ეთიკური

	პრინციპების დაცვით, იყენებს საკუთარი ან/და სხვისი აკადემიური ნაშრომის მიგნებებს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	**ევრაზიისა და კავკასიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლებისას, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის, გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი:** ლექცია, ახსნა-განმარტება, წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (Case Study), დისკუსია-დებატები, სავარჯიშოებზე მუშაობა, აუდიო-ვიზუალური მუშაობა, ელექტრონული სწავლება: **ლექცია** - სწავლა-სწავლების დიდაქტიკური მეთოდი, რომლის დროსაც ლექტორი, როგორც ძირითადი მოსაუბრე, აქტიური ან პასიური მსმენელის როლში მყოფ სტუდენტებს ზეპირი ფორმით აცნობს შემეცნებით ინფორმაციას წინასწარ განსაზღვრული თემატიკის გარშემო. ლექცია ემსახურება სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემის მიზანს **ახსნა-განმარტება** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც ლექტორი ხსნის კონკრეტული თემის საკვანძო საკითხებს, განმარტავს მათ მაგალითებით და პასუხობს გაჩენილ კითხვებს. ლექციის ფარგლებში ახსნა-განმარტების გზით ლექტორი უადვილებს სტუდენტებს დამოუკიდებლად დასამუშავებელი მასალის გაგება-გააზრებას **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - საკვლევ სფეროში არსებული უახლესი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავება, შემოქმედებითად გააზრება და მის საფუძველზე საკუთარი ემპირიული კვლევისთვის თეორიული ჰიპოთეზების შემუშავება **წერითი მუშაობის მეთოდი** - კვლევის მონაცემების წარდგენა სხვადასხვა ჟანრის აკადემიური ნაშრომის სახით (არგუმენტირებული ესე, ანალიტიკური რეფერატი კვლევითი სემინარის და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წერითი ფორმით წარდგენა (ზეპირ პრეზენტაციასთან ერთად). **შემთხვევის ანალიზი (Case Study**) - საკვლევ საკითხთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების და რეგიონების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი, საკუთარი შემთხვევის ინტერპრეტაცია და კრიტიკული შეფასება სხვა შემთხვევების კონტექსტში

	დისკუსია–დებატები დისკუსია-დებატების წარმართვა, საკუთარი არგუმენტების ნათლად ფორმულირების და დამაჯერებელი მხარდაჭერით გამყარების, აგრეთვე ოპონენტის არგუმენტების დასაბუთებულად უკუგდების საფუძველზე. **გონებრივი იერიში (Brainstorming)** -აკadემიური აქტივობა,რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ კონკრეტულის საკითხის შესახებ სტიდენტებისგან მოკლე დროში მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკლაურად განსხვავებული აზრის, იდეის შეგროვებას,კატეგორიზაციას და ერთმანეთთან დაკავშირებას. **აუდიო-ვიზუალური მუშაობა-** აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექციის ფარგლებში სტუდენტებისთვის მასალის აუდიო და/ან ვიზუალური გზით მიწოდებას ისეთი ელექტრონული და/ან მატერიალური საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა სლაიდები, ვიდეო რგოლები, აუდიო ჩანაწერები, ფოტოები და სხვა. პრეზენტაციისას სტუდენტებში ერთდროულად აქტიურდება სმენითი და მხედველობითი შეგრძნებები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დამახსოვრების მაღალ ხარისხს. **ელექტრონული სწავლება**- დასწრებული სწავლა-სწავლების დამხმარე მეთოდი, რომელიც გულისხმობს სასწავლო მასალის მიწოდებას, ახსნას, საშინაო დავალების მიცემას და შეფასებას სტუდენტსა და ლექტორს შორის ელექტრონულ რეჟიმში. მეთოდი ხელს უწყობს აკადემიური კომუნიკაციის ეფექტიანობის გაზრდას/გაფართოებას.

შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. *შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.* *დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.* **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: • **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; • **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: • **(FX) ვერ ჩააბარა**–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს,რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • **(F) ჩაიჭრა**–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღები სშემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

	დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება** **სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.** სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[2].“ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** **ა) აქტუალობა - 5 ქულა** (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). **ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა**

[2] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

	(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა). **გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა** (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). **დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). **ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა** (ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). **ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა** (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).
დასაქმების სფეროები	სოციალური კვლევების ჩატარების ცოდნა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს აწარმოონ სამხრეთ კავკასიისა და სხვა პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებზე ხარისხიანი კვლევა. გამომდინარე აქედან, პროგრამა ამზადებს მომავალ პრაქტიკოსებს, რომლებიც გეგმავენ გახდნენ მკვლევარები, სააჯრო მოხელეები, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებები და დასაქმდნენ სამთავრობო თუ არა სამთავრობო ორგანიზაციებში.

სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა ხორციელდება უმაღლესი კვალიფიკაციის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური მიღწევები და სამეცნიერო საქმიანობა საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:** • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა.https://www.tsu.ge/ka/library/page/893 • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.

	ასევე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების საგნობრივი ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული უახლესი ლიტერატურით (სტუდენტები სილაბუსში მითითებული საკითხავი მასალის ნაწილს ამ ბიბლიოთეკიდან ეცნობიან).
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მიერ.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ .
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს საშუალოდ 15 სტუდენტი.

	ევრაზიისა და კავკასიის კვლევები, ყოფილი საერთაშორისო ინგლისურენოვანი ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამა, წარმოადგენს **ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამას ინგლისურენოვანი კომპონენტებით,** რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებს ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის სიღრმისეული ცოდნით. ინგლისურენოვან კომპონენტში მოიაზრება პროგრამის კურიკულუმში ნებისმიერი სასწავლო კურსის ინგლისურ ენაზე განხორციელება და კონკრეტულ სემესტრებში ქართველი ან ერაზმუს+ გაცვლითი სტუდენტებისთვის მათი შეთავაზება ლექტორის თანხმობის შემთხვევაში, ასევე ინგლისურ ენაზე სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა. პროგრამა შექმნილია სამხრეთ კავკასიასა და პოსტ საბჭოთა სივრცეში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური, და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის და აქვს ძლიერი ფოკუსი საერთაშორისო ურთიერთობებზე. გამომდინარე იქიდან, რომ რიგი საგნებისა იკითხება, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე, პორგრამას შეუძლია მიიღოს უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ასევე მოემსახუროს გაცვლითი პროგრამებით ჩამოსულ უცხოელ სტუდენტებსაც. სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ პრაქტიკულ ცოდნა პოსტ კომუნისტური ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის პოლიტიკური ტრანსფორმაციის, ეკონომიკური განვითარებისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ. სტუდენტებს აქვთ უნიკალური შანსი მონაწილოება მიიღონ პროგრამაში, რომელიც თავის დროზე შემუშავებულ იქნა დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს ცნობილი უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, მათ შორის ისეთი წამყვანი უნივერსიტეტებისა, როგორიცაა: ოქსფორდის უნივერსიტეტი, რატგერსის უნივერსიტეტი, მაუნტჰოლიოქის კოლეჯი, ცენტრალური ევროპის უნვიერსიტეტი. ევრაზიისა და კავკასიის კვლევების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მიიღონ მაგისტრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, რომელსაც გასცემს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და რომლის დიპლომის დანართი შეესაბამება ევროპული უნივერსიტეტების ბოლონიის პროცესს.

	სამაგისტრო ნაშრომების შესაძლო საკვლევი თემატიკა სამაგისტრო დონეზე ევრაზიისა და კავკასიის კვლევების პროგრამის სტუდენტებმა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელების დახმარებით, შესაძლოა იკვლიონ შემდეგი თემატიკა: ევრაზიისა და კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება, ტრანსრეგიონული აქტორების გავლენა რეგიონის უსაფრთხოებაზე, ეკონომიკასა და საგარეო პოლტიკის ფორმირებაზე, ნაციონალური პრობლემები და ეროვნულ იდენტობაზე პოკუსირებული საკითხები. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ინტერდისციპლინურია და ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან სწავლობს რეგიონში მიმდინარე პროცესებს, პროგრამა მაქსიმალურად წაახალისებს ინტერდისციპლინურ ხედვას, მონათესავე დისციპლინების (პოლიტიკური მეცნიერებები, ეკონომია, სოციოლოგია, ნაციონალიზმის კვლევები) უახლესი მიღწევების ინტეგრირების საფუძველზე.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკულ მეცნიერებათა

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ევრაზიისა და კავკასიის კვლევები

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: თორნიკე თურმანიძე, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, პროფესორი

საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი: ფიქრია ასანიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29/07/2021; № 69/2021 (დანართი 305)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №124369; 25/01/2022 – 31/12/2028

https://eqe.ge/ka/deqars/492/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2021-2022 წლის გაზაფხულის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[3] ნომერი და თარიღი): №22/2022 – 11/03/2022; № 61/2022 - 26/07/2022; №16/2023 – 09/02/2023; №24/2023 - 20/03/2023; №14/2024-07/02/2024; №62/2024 – 29/04/2024

[3] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი 120კრედიტი (ECTS)												
საფაკულტეტო/საბაზისო სავალდებული კურსები - 70 კრედიტი (ECTS), მათ შორის: სავალდებულო სასწავლო კურსები- 40 კრედიტი (ECTS) სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS)												
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა						სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო		გამოცდის დრო	დამოუკიდებელი	სულ	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	შემოდგომის	გაზაფხულის	
				ლექცია	სემინარი/სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი							
1		სოციალური კვლევის მეთოდები	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		თეონა მატარაძე
2		კვლევის დიზაინი (დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ეკა აკობია დავით მაცაბერიძე
3		საერთაშორისო ეკონომიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო პაპაჩაშვილი

4		სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓		ფიქრია ასანიშვილი
5		რუსეთი და ახალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ	**5**	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ფიქრია ასანიშვილი; გიორგი მჭედლიშვილი
6		განვითარების ეკონომიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო პაპაჩაშვილი
7		საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		თორნიკე თურმანიძე ფიქრია ასანიშვილი
8		ევროკავშირის რეგიონალური სამეზობლო პოლიტიკა	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე		✓	მიხეილ შავთვალაძე
9		სამაგისტრო ნაშრომი	30	60			690	750	მინიმუმ 80 კრედიტი[4] (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი)	✓	✓	საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი
საფაკულტეტო/საბაზისო არჩევითი კურსები - 40 კრედიტი (ECTS)												
10		ნაციონალიზმი და პოპულიზმი: კონცეპტები, თეორიები და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის შემთხვევები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	დავით მაცაბერიძე ნინო გოზალიშვილი
11		მდგრადი განვითარება	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო პაპაჩაშვილი

[4] **გათვალიწინებულია დამამთავრებელ სემესტრში 40 კრედიტის აღების შესაძლებლობა**
(სტუდენტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომთან ერთად აიღოს ორი 5 კრედიტიანი ან ერთი 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი)

12		რეგიონალური უსაფრთხოება და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე		✓	მიხეილ შავთვალაძე
13		შედარებითი პოლიტიკა: რეჟიმების ტიპოლოგიების შედარებითი ანალიზი	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓		მიხეილ შავთვალაძე
14		სამშვიდობო მისიების დაგეგმარება	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ხატია აგიაშვილი
15		ცენტრალური აზიის პოლიტიკა	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓		ფიქრია ასანიშვილი გიორგი მჭედლიშვილი
16		ნაციონალიზმი: თეორია და პრაქტიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	დავით მაცაბერიძე
17		ეროვნული იდენტობა, ნაციონალიზმი და ევროპეიზაცია: სოციოლოგიური ანალიზი	5	15	15	3	92	125	წინაპირობის გარეშე		✓	ლია წულაძე
18		ნაციონალიზმი, ეთნოკონფლიქტები და მშვიდობის შენარჩუნება	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ზურაბ დავითაშვილი
19		საგარეო პოლიტიკის ანალიზი *(დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		დავით მაცაბერიძე გიორგი მჭედლიშვილი
20		რუსეთის საგარეო პოლიტიკა	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე		✓	ფიქრია ასანიშვილი ქეთევან ჭუმბაძე
21		საბჭოთა კავშირის ისტორია (ინგლისურენოვანი)	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓		ტიმოტი ბლოუველტი
22		საერთაშორისო უსაფრთხოება თეორია და პრაქტიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ფიქრია ასანიშვილი
23		გლობალური პოლიტიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ფიქრია ასანიშვილი გიორგი მჭედლიშვილი

24		რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური ისტორია	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	არჩილ სიხარულიძე
25		საქართველოს საგარეო პოლიტიკის გამოწვევები	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓	კორნელი კაკაჩია
26		კულტურა და რელიგია კავკასიაში (ჰუმან. მეცნ. ფაკულტეტიდან)	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		დავით მაცაბერიძე
27		რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება: წარსული და თანამედროვეობა (პოლიტიკის მეცნ. სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	30	8	72	125	წინაპირობის გარეშე		✓	მალხაზ მაცაბერიძე
28		პოსტ-სოციალისტური ტრანსფორმაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში: პოლიტიკური პროცესი, ნაციონალიზმი და იდენტობები ბალკანეთში	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	დავით მაცაბერიძე
თავისუფალი კრედიტები - 10 (ECTS)												

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი